

◆ მიწად-მოქმედების სამინისტრო
კარგულებით დაარსებულია კომისი-
ცილისტი-აგრონომის მონაწილეობ-
მამულების დასაფასებლად, რომელ-
სარგებლობენ სოფ. ეკატერინენფ-
(რატეენის) მცხოვრებნი. ეს დაფასე-
ქირაა იმისათვის, რომ გამოიკვლი-
რა ფასი უნდა მიეცეს ამ მამულები-
ნანდელ პატრონებს თავ. ორბელიან

ნატარტის წყაროების გამოკვლევის საბჭოს კომისიამ, რომელიც სხვე-ერთად უნდა გამოგზავნილიყო, 15 აპრილს, ადგილობრივ ნატარტ-წყაროების დასათვლიერებლად, გადას-წასვლა 22 აპრილისათვის.

ორშაბათს, 23 აპრილს, ქალთა 1-ლი ნაზის დარბაზში დანიშნული საზოგადოებრივი ტფილისის მასწავლებელ და აღმასწავლებელ ქალთა საზოგადოების წევრთა.

გუშინ, 11 აპრილს, მოხდა სხდომა ნატარტების იმ კომისიისა, რომელსაც მომავალ საუბილეო გამოფენაზე დღითი საქმის განყოფილების მოწყობა. მომავლ გადამწყდა შემდეგ კრებისათვის, მთელი დანიშნა კვირას, 15 აპრილისათვის, მოიწვიონ ტფილისის სტამბების მფლობელები და მათთან ერთად განიხილონ განყოფილების მოწყობის შესახებ.

სოხუმის ოლქის სოფ. გუდაუთიდან წყლის ოსმალეთში გაუზავნათ 45,000 ფუტის მუხის საბოკე თხელი ფიცრები.

„ნოვ. ობოზ“-ს სიტყვით, ბორჩა-ლის მაზრაში, შულავერის მიდამოებში, ბორჩა-ლის თაგვებს გაუფუჭებიათ ანეულები და დესეტინის მანძილზე.

მთავრობამ შეიმუშავა პროექტი მიწად-მეღების სამინისტროს ადგილობრივ და-მეღებულბათა გადაკეთების შესახებ. პრო-ექტს მალე განიხილავს სახელმწიფო საბჭო.

შინაგან საქმეთა სამინისტროში არსე-ლი დამოღვევი კომიტეტი იხილავს ამ დღის საკითხს, თუ როგორის საშუალებით და-მეღება გადავიღებულ იქმნას ხის ეკლე-ტის ცეცხლისაგან დაზღვევა.

სატარტო ქალაქის გაზეთების სიტყვით, იქნებულ აღმოსავლეთიდან ბოლოს დროს მდი ამბები მოდის და ამიტომ პეტერ-ბურგის ბირჟაზე საქმეები ცუდად წავიდა: საბჭოებიან ქალაქების ფასები დაეცა, შეიკრთ ქალაქებს გასავალი აღარ აქვს საზოგადოდ, ქალაქების ყიდვა-გაყიდვა შეუძლებელია.

„რუსსკია ვედომოსტ“-ის სიტყვით, პრო განათლების სამინისტრო მოკლე-ში შეუდგება განხილვის საკითხისას რე-სურს სასწავლებლებში ბუნების-მეტყველე-ბა, მათემატიკისა და ახალი ენების პრო-ექტების გაფართოების შესახებ. გარდა ამი-თა მოკლე ხანშივე შეუდგებიან საქალბო ნაზიების პროგრამების გადასინჯვას; გან-ხილულია ძირითადი შეცვლა ამ პროგრამ-ისა.

მომავალ შემოდგომაზე პეტერბურგში წვეულ იქნება რუსეთის მეფუტკრეთა საზოგადო კრება.

დღეს, 12 აპრილს, დანიშნულია ქა-ლის საბჭოს 9 აპრილის სხდომის გაგრძე-ება, რომელზედაც განსახილველად და-ნიშნული არიან შემდეგი საგნები: მოხსე-ვა ქალაქის გამგეობისა ნათის ქალის ბრით გაცემის შესახებ, დადგენილება ქა-ლის გამგეობისა—იმის შესახებ, რომ ნება-ბრით ძმათა არზრუმანოვებს ციციშვი-ლის კლდეზე ასაყვან ჩამოსაყვანი მანქა-გამართვისა, შუამდგომლობა დეპუტა-ტ ბ. ცინცაძისა ოლქის გორაზედ მართ-ვის შესახებ; მოხსენება გამგეობისა ქალა-ბის ნავის გასაზიად ურემების მოწყობის შესახებ და სხვა. სულ განსახილველად და-ნიშნულია 7 საქმე. სხდომა 8 საათზე, და-იწყება.

როგორც შევითყვეთ, ავქალის მცო-ნის წლოვან დაზნაშავეთა გამასწორებელ ასპექტურის ღირებურობი ბ-ნი ბეკენდორფი-ის საყვანილი იქნა რუსეთში, ხოლო დრო-ის ახალ-შენის გამგეობა ჩაპარდა ღირე-ობის თანაშემწეს ბ-ნ ა. გეგეკაძის.

ქალაქის გამგეობის განკარგულებით, ნდელიზი გაუკეთებიათ ქალაქის მილის წყლი-სასაგის დაწყებული 1-ლი იანვრიდან 15 მა-ისამდე და შემდეგი აღმოჩენილი: 1) მთელ-ბის დროს განავლობაში ქალაქის მილის-ში არეული იყო წყაროსი და მტკვრის

წყალი; ნამეტნავად ბევრი მტკვრის წყალი-ერია მარტის განავლობაში; 2) წყალი ძლი-ერ მღვრივია, მეტადრე მარტში; 3) წყლის-ბაქტერიოლოგიურმა გამოკვლევამ მ მარტის-აღოაჩინა, რომ ეს წყალი კარგის თვისე-ბისა ყოფილა, რადგანაც წყლის ერთ კუ-ბიკურ სანტიმეტრში მხოლოდ სამი ბუდე აღმოჩნდა ბაქტერიებისა, მაგრამ 1 მარტის-გამოკვლევამ სულ სხვა აღმოაჩინა: წყლის-1 კუბიკურ სანტიმეტრში აღმოჩნდა—562—760 ბუდე ბაქტერიებისა. ამიტომ ქალა-ქის სასანიტარო სამკურნალო ინსპექტორს-შემდეგი აზრი გამოუთქვამს: რადგანაც უფ-რო ბევრი ბაქტერიები აღმოჩნდა მარტში, რადგანაც მილის წყალში ბევრი მტკვრის-წყალი ერია, ამიტომ, მისის აზრით, ეს სი-ცუდე წყლისა (ბაქტერიების სიმრავლე) უნ-და დაპზრადეს ავქალის ფილტრის (წყლის-გამწმენდი მანქანა) უფარვისობას. მილის-წყლის ქიმიურ ანალიზს სასანიტარო-საექიმო-ინსპექტორი საკმაოდ გვარიანად სთვლის, თუ მხედველობაში არ მივიღებთ წყლის-სიმღვრივეს. წყლის სიმღვრივეც ქალაქის-ფილტრის ბრალია, რადგანაც ეს ფილტრი-ვერ სწმენდავს წყალს ვერც ბაქტერიებისა-და ვერც სიმღვრივისაგან. ბოლოს სასანი-ტარო ინსპექტორი ამბობს, რომ ქალაქის-ქიმიურ ლაბორატორიაში სცადეს რენენ-ფელდის სისტემის ფალტრი, რომელიც მშვენივრად სწმენდავს წყალს და რომ-ავქალაშიაც ამისთანა ფილტრების დადგმა-საჭიროა.

11 აპრილს რკინის გზის სადგურ რიონზე-მემანქანის თანაშემწე მელაძე იმ დროს, როცა მატა-რებელი გაჩერებული იყო, ორთქლ-მაღალ ქვეშ შე-ძვრა გასასინჯად. ამ დროსვე დაბრუნდა მემანქანე, ავიდა ორთქლ მაღალზე და რადგანაც მელაძემ ვერ-დაინახა, ორთქლ მაღალი დაიძრა. გაისმა საზარელი-ყვირილი. მელაძეს ორთქლ მაღალმა ფეხი მოსწყვიტა.

სადგურ ველათთან, ტუბულის გზაზე, 10-აპრილს, ღამის 4 საათზე და 50 წუთ., მე-14 ვერ-სზე დიდი წვიმის გამო კლდე ჩამოწვა. მატარებელი-№ 35, ორ საათ ნახევარი შეჩერდა, სანამ ლიან-დავს გასწმენდნენ.

სადგურ უჯარაზე 9 აპრილს, საღამოს 6-საათზე და 30 წუთზე, როდესაც მატარებელი, № 168, გაჩერდა სადგურზე, მემანქანის თანაშემწემ-ანდრია კოვნიკმა მარცხენა ხელი დაიშვა.

სად. ჯაგუროვან, ყარსის გზაზე, 10 აპრილს, მე-186 ვერსზე კლდე ჩამოწვა ათ საჟენზე; მატარე-ბლები ერთ საათს შეჩერდნენ.

სად. თაუზის ახლო 10 აპრილს, მე-32 ვერ-სზე, გორის მაზრის მცხოვრები იავორ პაპუშვილი-გაღმავარდა საქონლის მატარებლიდან № 161 და-დაშავდა. დაშავებული ტფ. რკინის გზის საავადმყო-ფოში გაგზავნეს.

სად. მცხეთიდან გეწყურენ: 10 აპრილს, და-მით, ვილცამ გაქურდა ინჟინერ რუდნიკის სახლი; წაიღეს სხვა და სხვა ნივთები, სამხარეულოს ავეჯი, საათი და 46 მანეთი ფული.

ისევ მემანქანთა საუბრადღეობა.

თქვენი გაზეთის 5 აპრილს ნომერში დას-ტამებულია წერილი მ. ა. წულუკაძისა, რომელშიც ის სრულიად სამართლიანს უკმაყოფი-ლებას აცხადებს ზოგიერთ გაუბატონებულ, რომელნიც დაშინდ ეგნასის ღვინის დასკუბა-ზედ ცუდ ხმებს აფრქვამენ და მით გზება-მოკლე კეთილ საქმისთვის. ავგვარი სხები-მეც სწამად მესმის. მაიკუზა ამისა გახდავთ-ის გაგრძეება, რომ რამდენსავეს ქქონია შემ-თხვევა გასინჯათ საქარის სანერგეში დაუგე-ბული ღვინო, რომელიც მართლაც ძრავდ სუს-ტია: მაგრამ ამის მიზეზი ნამუქნობა კი არ-არის. საქარის სანერგე არის გაშენებული ყვი-რილის შირად, ვაკეზედ, საცა თვით ნიადა-გის თვისება არ უწყობს ხელს ხეიარანი ღირ-სების ღვინის გამოსვლას, როგორც სოფადოდ-ვაკე იმერეთში. რიგან ღვინის დაუგეხისათვის-საჭიროა მშრადი, მწადი ადგილი და აქ კი-ამისის სიმაღლეზედ წყალი ამოდის მიწიდან.

ამ სხების გაშენებულებით ავიწყდებათ, რომ ეს მარტო სანერგეა და სანერგისათვის, კი. მარტო ვაზის გახარებისათვის, ეს მშვე-ნიერი ადგილია. ამას გარდა, მე შეჩნდა შემ-თხვევა და ერთი ნამუქნი ეგნასის ღვინო გე-სინჯე ქუთაისის ქაზრაში, რომლის ღვინის

უგარკისობას შენაბას აწერდნენ მცხოვრებლები. ღვინო, მართლაც, ნაკლები გამოდგა, მაგრამ, რო-ცა ადგილობრივ დაუთავადიერ ეს ეგნასი, და-წმუნდა, რომ აქედ თითქმის ის მიზეზია, როგორც საქარის სანერგეში: ეგნასი გაშენე-ბული ძლიერ ნოტიო ადგილზე და ამასთან იმ-გვარი ჭაშის ვაზი უმინა მარტის (ძველ-შია), რომელიც სოფადოდ კარგ სავანსე-ადგილებშიც ნაკლებ ღვინის ღვინის იძლევა. რაც შეეხება ჩემ შირად გამოცდილებას, შემიძ-ლია და ვარწმუნო თქვენი მარტისებულები შეიძე-ლი, რომ არავითარი შიში აქ არ არის, და ურწმუნოთ კი გურჩევ გასინჯონ კვინიკაძის-ნამუქნი ეგნასის ღვინო სოფელ სემადლასში (შორანის მაზრა). ჩვენი შეგნასებობის ადგენა-მარტა ამ გზით შეიძლება, და ეს გაგრძეება, სისიამოვნოდ და სისიამოვნოდ ჩვენდა, უდბათ-შეიგნა უმეტესმა ნაწილმა იმერეთის შეგნასე-რისაში.

ა. ი. ჭაჭინაძე.

სასამართლო საქაღბე.

ამ ორი-სამი წლის წინად ქუთ. გუბერნიის, ლენჩუხის მაზრის, სოფ. ჩხუტელის მცხო-ვრებს სიმონ გოგაის ძე ახვლედიანს უვა-ლებია ხელწერილით 65 მან. იმავე სო-ფლის მცხოვრების გიგო მეშველიანისაგან, რომელსაც შემდეგ ხელწერილი გარდაუ-ცია თვის მეზობლის გლეხის შარდენ-ოკროპირის ძის ყრუაშვილისათვის. რადგა-ნაც ყრუაშვილს თავის ნებაზე ახვლედიანი-საგან ვერ აუღია მართებული 65 მან., საჩივარი აღუძრავს ადგილობრივ მომრიგე-ბელ მოსამართლესთან, სადაც საქმის გარჩე-ვის დროს ახვლედიანს წარუდგენია კვი-ტანცია, რომლითაც გიგო მეშველიანს უკვე მიღებული ჰქონდა კუთვნილი გა-ვალებული ფული. როგორც მეშველიანს აგრეთვე ყრუაშვილსაც უარი განუცხადე-ბიათ, რომ მათ ახვლედიანისაგან არავითარი ფული არ მიუღიათ და რომ ეს კვიტანცია ყალბია და შედგენილია იმიტომ, რომ თავიდან აეცილებინა ნასესხი ფულის გარ-დახდა. ამის გამო საქმე გამოძიებისა-თვის გადაუციათ და როგორც საქმიდან-სიანს გამორკვეულა, რომ აღნიშნული კვი-ტანცია დაუწერია ა. ზ. ბავლე დაშინანს, გიგო მეშველიანის სახელით და ახვლედი-ანის თხოვნით—1898 წლის 20 აგვისტოს-თარიღით, რომელიც შემოწმებით მაშინ-უკვე გარდაცვალებულის მამასახლისის თა-ნაშემწის დიმიტრი მეშველიანის სახელით და ბეჭედიც დაუკრავთ ზედ. საქმის გამო-ძიების დროს დაშინანს განუცხადებია, რომ კვიტანცია მეშველიანის, ახვლედიანის ფულის მიღებაზე შეადგინა მან ამ უკა-ნასკნელის თხოვნით, რომლის დროსაც არ დასწრებია დიმიტრი მეშველიანი და თუმც მისი შეტედი აკრავს კვიტან-ციაზედ, მაგრამ არ იცის, თუ საიდან მოხდა ეს. ამასთანავე დაშინანს განუ-ცხადებია, რომ კვიტანცია დასწერა მან 1899 წლის აგვისტოში უკანა რიცხვით, შემდეგ კიდევ უთქვამს, რომ 1900 წელში დაწერე კვიტანცია, ხოლო სასამართ-ლოში საქმის გამოძიების დროს განუცხა-დებია, რომ ორივე მის მიერ აღნიშნული ჩვენება ტყუილია და რომ კვიტანცია დას-წერა ნამდვილად მან 1899 წლის მარტში. შემდეგი საქმის გამოძიებით გამორკვეულა, რომ დაშინანის ჩვენება სიმართლეს მოკლებულია, რადგანაც შემოწმებით ახვლე-დიანი 1899 წლის აგვისტოს განავლობა-ში სოხუმში ყოფილა და რანაირად შეიძ-ლებდა რომ დაშინანი მაშინ დასწერდა მი-სის თხოვნით კვიტანციას. მოწამეს შარდენ-ყრუაშვილს განუცხადებია რომ აღნიშნუ-ლი კვიტანცია დაწერილია 1900 წლის 5 თებერვლის შემდეგ, როცა ყრუაშვილს უკვე საჩივარი შეუტანია მოსამართლესთან რადგანაც საქმით გამორკვეულა, რომ კვი-ტანცია დაშინანს უნდა დაეწეროს 1900 წელს, ხოლო შემოწმებული მამასახლისის თანაშემწე დიმიტრი მეშველიანი ნამდვილად

გარდაცვლილა 1899 წლის მაისში. ამიტომ-ეკვი აღძვრიათ, რომ კვიტანციის სიყალბით შედგენაში მონაწილეობა უნდა მიეღოს-მაქსიმე კაციას ძეს ჩაბრავს, რომელიც მეშველიანის შემდეგ იქნა მატარებელი მასახლისის თანაშემწედ ს. ჩხუტელში. ამ საქმის გამო პასუხის გებაში მიცემულთ-მაქსიმე ჩაბრავს, ბავლე დაშინანს და სიმონ-ახვლედიანს საქმის გარჩევის დროს ქუთაისის-ოლქის სასამართლოში თავი დამნაშავედ არ-უცნიათ და ვეკილთა შუამდგომლობით უთ-ხოვნით გამართლება. ოლქის სასამართლოს დამნაშავედ უცნია სამივე ბრალდებულნი-სიყალბით იმ კვიტანციის შედგენაში, რომლი-თაც ახვლედიანს განზრახ უნდა აეცილები-ნა თავიდან 65 მანეთის გადახდა და გარ-დაუწყვეტია ყოველივე განსაკუთრებულ უფ-ლებათა უპირატესობათა ჩამორთმევა—მაქსიმე ჩაბრავსათვის ერთის წლის ვადით პატიმარ-თა გამასწორებელ რაზმში გაგზავნა, ხოლო-ა. ზ. სიმონ ახვლედიანისა და ბავლე დაშინ-ანისათვის—ასტრახანის გუბერნიაში გადასახ-ლება, ისე რომ 2 წლის განმავლობაში სა-ცხოვრებლად დანიშნულს ადგილს არ გან-შორებოდნენ. ბრალდებულნი არ დაეკაყო-ფილებულან ქუთაისის ოლქის სასამართლოს-გარდაწყვეტილებას და საქმე განუსაჩივრე-ბიათ ტფილისის სასამართლო პალატაში. გუშინ წინ, 10 აპრილს, პალატამ, ნაშუა-დღევს 2 საათზედ, გამოაცხადა განჩინე-რი, რომლითაც უდნაშუალოდ იცნო ჩაბრავა და გამართლა იგი, ხოლო სიმონ ახვლე-დიანისა და ბავლე დაშინანის შესახებ დამ-ტკიცა ქუთაისის ოლქის სასამართლოს გა-ნაჩინი.

მაჩხანის დეპოსტამო.
(წერილი რედაქციის მიმართ)

ბ-ნო რედაქტორო! ვაზ. „ცნობის ფურ-ცის“ 1382 №-ში მაჩხანის მომხმარებე-ლი საზოგადოების შესახებ დაბეჭდილია-კორესპონდენცია, რომელიც განმარტებას-თხოვლობს. ამიტომ კემმარტების აღსა-დგენად ნება მომეცით თქვენი გაზეთის სა-შუალებითვე რამდენიმე სიტყვა ვთქვა ამ-საგანზე, მით უფრო, რომ ხსენებული კო-რესპონდენცია განსაკუთრებით ჩემს მოქმე-ლებას ეხება დეპოსტამოში.

ბ-ნი წევრი, კორესპონდენციის ავტო-რი, იწყებს იქიდან, რომ რადგანაც დეპოს-ტამოქმედების შეჩერების ამბავი ცარიელის-სიტყვით იყო ნათქვამი ზოგიერთ გა-ზეთებში და მიზეზი კი ამ შეჩერებისა ერთი-სიტყვითაც არ იყო მოხსენებული, ამიტო-მაც სიმირთლე მოითხოვს მოკლეთ ვაუ-წყით ცნობის მოყვარეთ, თუ რამ შეჩი-რა დღეს აღებ-მიცემობა მაჩხანის საზოგა-დოებისა. თუმცა ასეთი ყოფილა კორე-სპონდენციის მიზანი, მაგრამ, სამწუხაროთ, უნდა შევნიშნოთ, რომ კორესპონდენციის-ავტორს, მართალია, რამდენიმე ციფრი ამოუ-წერია დეპოსტამოთიდან, მაგრამ დეპოს-ტამოქმედების შეჩერების მიზეზები ან სრულებით არ სცოდნია და ან თუ იცის, განზრახ არ-მოუხსენებია.

კორესპონდენტი გვეუბნება, რომ დეპოს-ტამ-მიცემობა შეჩერდა პირველად იმიტომ, რომ იგიზარალობდა, და მეორეთ, იმიტომ, რომ ნისიებს არავინ უბრუნებო. ყველა-ამის გამო მას ძირის თანხა გამოეცალა და „უძირის თანხა აღებ-მიცემობა სათავეზედ წყალ-გადავარდნილ წისკელივით დგება, და აი დღესავით ცხადი მიზეზი დეპოსტამ-მიცემობის შეჩერებისა“. ახლა თქვენ-გკითხავთ, რა არის აქ „დღესავით ცხადი მიზეზი“? რომ მაჩხანის დეპოსტამოქმედო-თანხა აღარ დაურჩა და ამის გამო შეჩერდა-მისი მოქმედება, ეს ყველასათვის ცხადია. ამიტომ იმის ლაპარაკი, რომ მაჩხანის დე-პოსტამოქმედება შეჩერდა უ- (თუმც, უნდა შევნიშნოთ აქ, არა მარტო-უთანხმობის გამო), სრულებით არაფერს-არა ხსნის. თუ ავტორს საქმის ნამდვილი-ვითარების გამორკვევა ჰსურდა, მას უნდა

აგისნა, თუ რამ გამოიწვია დეპოს ზარალი და ან რით აიხსნება ის გარემოება, რომ წევრთ აღარ ჰსურთ ნისიის დაბრუნება. ყოველივე ამისთვის კი კორესპონდენტს ზურგი შეუქცევია და გამოდგომია იმის დამტკიცებას, თუ როდის რამდენი თანხა ჰქონებია მაჩხაანის მომხმარებელ საზოგადოებას. მაგრამ სწორედ აქ არის, რომ კორესპონდენტი სასტიკად ჰლაღატობს არა თუ სინამდვილეს, არამედ თავისივე ნათქვამ სიტყვებს. აი საქმე რაშია.

კორესპონდენტი ამტკიცებს, რომ „როცა 1898 წელს ბ. მაჩხაძეს ჩააბარეს მაჩხაანის მომხმარებელი საზოგადოება ანგარიშით, საზოგადოებას ჰქონდა 4327 მან. საწვევო თანხა“. მაგრამ ცოტა ქვეით მისივე სიტყვებიდან გამოდის, რომ ეს რიცხვი 1582 მან. 61 კპ. უნდა შემოკრდეს, რადგანაც იქიდან უნდა გამოვიდეთ ძველი გამგეობის მიერ (მაშასადამე მაჩხაძის დრომდის) გაცემული ნისია (1268 მ. 91 კ.) და მის დროსვე მომხმარებელი ზარალი*) (312 მ. 70 კ.), რაც ერთად შეადგენს 1582 მ. და 61 კ. ამნაირად, „როცა მაჩხაძეს ჩააბარეს მაჩხაანის მომხმარებელი საზოგადოება“, ამ უკანასკნელს 4327 მან. საწვევო თანხა კი არ ჰქონებია, არამედ, თვით კორესპონდენტის სიტყვითვე, ეს საწვევო თანხა უდრიდა 4327—1582 მან. 61 კპ., ე. ი. 2744 მ. 39 კ. ძნელი გასაგებია, თუ რისთვის აყენებს კორესპონდენტი თავის თავს ასეთ ლოლიკურ წინააღმდეგობაში, თუ რისთვის ლობაობს ასე აშკარად იგი თავის თავს. შეიძლება ასეთ ყალბ საშუალებას იმიტომ მიჰმართა კორესპონდენტმა, რომ მას ჰსურდა მაჩხაანის დეპოს სამწუხარო ბოლო სულ მთლად მაჩხაძისათვის მოეხდინა კისერზე და მისი წინანდელი მოადგილენი ცაში მართლებათ დაესხა. დეე, მკითხველმა განსაჯოს, რა უფრო სასურველი და უმჯობესია: ის, რომ ყალბი საშუალებით გაგამტყუნონ, თუ ის, რომ ასეთივე საშუალებით გაგამართლონ?

ზევით ნათქვამიდან მკითხველი იმ დასკვნას გამოიყვანს, რომ როცა მე ჩავიბარე მაჩხაანის დეპო, მას ჰქონდა 2744 მანეთი საწვევო თანხა. მაგრამ უბედურება ის არის, რომ აღარც ეს იყო. ამიტომ საჭიროა მოვავლო მკითხველთ, თუ რა პირობებში ჩავიბარე მე მაჩხაანის მომხმარებელი საზოგადოება და საზოგადოდ რას წარმოადგენდა იგი იმ დროს. 1898 წელს, ივლისში, მე დავესწარი ხსენებული საზოგადოების წლიურ კრებას. ამ კრებაზე ბევრი არა სასიამოვნო და სამწუხარო გარემოება გამოვლენდა დეპოს შესახებ, მაგრამ ყველაზე უფრო სამწუხარო ის იყო, რომ საზოგადოების მაშინდელი გამგეობა, რომელსაც შეადგენდნენ ბ. ბ. დ. ნადირაძე და დ. ჯავაშვილი**) დეპოს თავს ანებებდა. რასაკვირველია, სადაც გამგეობა კენჭის ყრით არის, იქ ძველის მაგივრად ახალს ირჩევენ, ამიტომ თუ მაჩხაანის მომხმარებელი საზოგადოების გამგეობა სამსახურს თავს ანებებდა, აქ არაფერი გასაკვირი და, მით უფრო, სამწუხარო არ უნდა ყოფილიყო. მაგრამ აქ იყო სხვა გარემოებანი, რომელნიც ძალაუფლებურად დიდ საგონებელში ავდებდნენ საზოგადოებას. პირველად ის, რომ ბ. ბ. დ. ნადირაძე და დ. ჯავაშვილი, საზოგადოების გამგეობის წევრნი, ისე მონდომებით და აღვლევებით აცხადებდნენ უარს გამგეობის წევრობაზე, რომ ასე გეგონებოდათ ისინი საბრძოლველად აჰყავთ და რაიმე ნაირად ჰსურთ აქედან თავი დაიხსრონ. მეორედ ის, რომ ერთი ამათვანი, სახელდობრ, ბ. ნ. ნადირაძე, იყო ის

პირი, რომელიც რამდენიმე წლის განმავლობაში მწერლობის საშუალებით, თუ სიტყვიერად ჰქადაგებდა და ამზადებდა ნი-ადაგს ხსენებული საზოგადოების დასარსებლად; ასეთ მის მეცადინეობას ის შედეგი მოჰყვა, რომ ადგილობრივი საზოგადოების ერთ ნაწილში მან მოიპოვა ნდობა. ერთი სიტყვით, ადგილობრივი საზოგადოების დახმარებით ბ. ნადირაძემ მიახწია თავის მიზანს; 1895 წელს მან დააარსა მაჩხაანის დეპო. რამდენიმე წლის მოქმედების შემდეგ, როცა დეპოს კეთილდღეობა შეფერხდა, როცა სხვა და სხვა მიზეზების გამო მისი საქმე წაბოროტდა, ბ. ნ. ნადირაძე გა-მოვიდა და საჯაროდ განაცხადა, რომ მას აღარ უნდა იმ დაწესებულების პატრონობა და წინ გაძლოა, რომელიც მისი მეცადინეობით იშვა. მაგრამ, როგორც იქნებოდა, ამას კიდევ შეურიგდებოდა კრება, რომ სხვა გაქირვება და დაბრკოლება არ გადაჰლობებოდა წინ. საქმე იმაშია, რომ ერთი კაცი არ აღმოჩნდა ისეთი, რომელსაც მაჩხაანის დეპოს გამგეობა ეკისრა. ამიტომ კრებამ რამდენიმეჯერ მიჰმართა თხოვნით ისევ ძველ გამგეთ და განსაკუთრებით ბ. ნ. ნადირაძეს, როგორც ამ საქმის დამწყებს, რომ იგი ისევ დარჩენილიყო თავის თანამდებობაზე. მაგრამ ბ. ნადირაძე დარჩა შეუღრკეველი. სხვებიც უარზე იყვნენ. კრებას დაადგა გასაჭირი: დეპო რჩებოდა უგამგეობოდ, ე. ი. ის უნდა დაეტოვებინა. ამ გასაჭირიდან კრება იხსნა ერთი წევრის წინადადება: ამოვირჩიოთ კომისია და მივანდოთ მოკლე ვადაში მან წარმოგვიდგინოს გამგეობის კანდიდატები. ეს წინადადება მიღებულ იქნა ერთხმად; აირჩიეს კომისია, რომელშიაც, სხვათა შორის, მეც მოვეყვი. ერთი თვის განმავლობაში ჩვენ უნდა გვემოგონა გამგეობის კანდიდატები, წინააღმდეგ შემთხვევაში, როგორც მოხსენებული იყო კრების ოქმში, დეპო უნდა დაეტოვებინა. სამწუხაროდ, ვე-ლარც კომისია გახდა რასმეს. ამიტომ მე მივეცი მას შემდეგი წინადადება: თუ, კომისიის აზრით, მე გამოსადეგი ვიქნებოდი დეპოსთვის, მზად ვიყავი, ე. ი. მე აღვუთქვი კომისიას, რომ თუ საზოგადოების სურვილი იქნება და დახმარებას აღმომიჩენენ, შევუდგები ამ საქმეს და ვიშრომებ მისთვის სანამ ბ. ნ. ნადირაძე რუსეთიდან დაბრუნდებოდეს მეთქი. არ უნდა დავივიწყოთ, რომ თავის უარის მიზეზად ბ. ნ. ნადირაძე ასახელებდა რუსეთში წასვლას კერძო საქმეების გამო). კომისიას ესიამოვნა ჩემი წინადადება და შემდეგ საზოგადო კრებაზე ერთხმად ამირჩია გამგეობის წევრად. ეს იყო 1898 წლის სექტემბრის პირველი რიცხვებში. ამ დროს იღვიძრეს ვაჭრობა, მაგრამ საჭირო იყო საქონლის მოტანა. ვხედავდი, რომ თუ თითო-ორიოლა მუშტარი დეპოში შემოსდებოდა ფეხს, მაშინვე უკან ბრუნდებოდა, რადგანაც საქონელი არ იყო. ამიტომ, უწინარეს ყოვლისა, საქონლის გამოწერისათვის უნდა გვეზრუნა. მაგრამ რით? ის ორიოდე გროში, რაც დეპოს კასაში იყო მაშინ, გზის ფულად არ იკმარებდა. როგორც იყო, თავ. ნ. ერისთავისა და გამგეობის წევრის ი. ნ. გომელაურის დახმარებით, აღებულ იქნა კერძო პირებისაგან ვალად ორას თუმანად (კარგად არ მახსოვს, მაგრამ დაახლოებით ამდენი უნდა ყოფილიყო) და საქონელიც გამოვიწერეთ. საქონლის გამოწერას შემდეგშია ცხლოდ ამ საშუალებით ვახერხებდით, რადგანაც დეპოს თავისი საკუთარი თანხა, რაც ჩემს ხელში ვაღმოვიდა, აღარ ჰქონებია. ბევრი გეცადეთ დეპოს უკეთეს პირობებში ჩაყენებისათვის, მაგრამ წამხდარი საქმის გამობრუნება აღარ მოხერხდა. ამის მიზეზები იყო: 1) ის, რომ დეპოს საწვევო თანხის ერთი ნაწილი ნისიად იყო გაცემული, მეორე ნაწილი დაბანდებული იყო სადავო-დარბოდ გამხდარ შენობაში. ამ შენობის ამბავი გასაშტერებელი რამ არის. ის მცო-

რედენი თანხა, რომელიც მაჩხაანის დეპოს ჰქონდა და რომელიც პირდაპირ აღებ-მიცემობას უნდა მოხმარებოდა, აიღეს და სულ მთლად უძრავ ქონებად აქციეს. მაშასადამე ეს თანხა დეპოსთვის სრულიად მკდარი შეიქმნა. იმ დღიდან, რა დღესაც დეპოს ფული შენობაში დაიხარჯა, მისი აღებ-მიცემობის საქმე ძირიანად შეფერხდა და თან-და-თან ძირს დაეცა. სადავლო კიდევ ის იყო, რომ თვით შენობა, რომელზედაც დეპოს მთელი თანხა დაიხარჯა, კერძო პირის სახელზე იყო დამტკიცებული. საქმე იქამდის გააწვავდა, რომ ამ უკანასკნელმა კიდევაც მოინდომა თავისი იურიდიულის უფლებით ესარგებლნა*). როგორც იყო, ეს გააწვავებული საქმე დავაცხრეთ: თავისი ნაწილი ამ შენობაში დეპომ დაუთმო ერთს თავისს მოვალეს; რითაც გვინდოდა დეპოს თანხა გაგვენთავისუფლებინა უძრავი ქონები-საგან და პირდაპირ აღებ-მიცემობაში და-გვებანდებინა, მაგრამ ეს გვიანდა იყო; 2) დეპოს დაკარგული ჰქონდა ნდობა როგორც ტფილისელ ვაჭრების, ისე ადგილობრივის საზოგადოების თვალში; ზოგი ისე გაურბოდა დეპოს, რომ მისკენ გახედვაც კი ეზარებოდა.

მოკლედ შევასიგოთ ფ. მაჩხაძე. თუ მოკლედ (დასასრული იქნება) გვამოთ

საღამოს დეპეშები

11 აპრილი.

პეტერბურგი. დაინიშნენ: არტილლე-რიის მე-20 კორპუსის უფროსი გენერალ-ლეიტენანტი ტოპორკინი—პირველ თურქესტანის კორპუსის უფროსად; ბაიკალის იქითა მხარის სამხედრო გუბერნატორი გენერალ-ლეიტენანტი მატივესკი—თურქესტანის გენერალ-გუბერნატორის თანაშემწედ. გენერალ-ლეიტენანტი სუბოტნი-ბაიკალის იქითა მხარის უფროსად და მე-2 თურქესტანის კორპუსის უფროსად.

ვოლოგდა. ხვალ პირველი გემი მიდის უსტიუგში.

ხარკოვი. შემოდგომის პირახულს კარგი პირი უჩანს; თუმცა ზამთარი ნათესობისთვის კარგი არ იყო, მაინც თბილმა და წვიმიანმა გაზაფხულმა გამოაყენა პირახული: გაზაფხულის ნახაობა კარგ დროს დაითესა. ხორბალზე ფასები შეუცვლელად არის.

კოსტრომა. ვოლგაზე ყინული აღარ არის. ზევიდან პირველი გემები მოვიდნენ.

პარიზი. ნავოსნობა დაიწყო. თბილა, ფოვ-ლი დაღნა. შემოდგომის ნათესობა კარგია.

სოფია. მიხაილოვს და ფიტოვსკის მო-კვლის საქმის მწარმოებელი გამომძიებელი გადაყენებულ იქნა სამსახურიდან გამომ-ძიების წარმოების დავიანებისათვის.

მაკედონიის კომიტეტის ახალმა თავჯო-მარემ მიხაილოვსკიმ იმედი განაცხადა, რომ საქმეს კანონიერ ფარგალში აწარმოებს და ყოველ ღონისძიებას იხმარს, რომ ბერლი-ნის ხელშეკრულება ასრულებულ იქნას და თუ შესაძლებელია საქმის გადასინჯვა.

ბარლინი. უკანასკნელ ცნობებით, ახა-ლი სადამოყენო ტარიფს დაწვრილებით გა-ნიხილავენ ყველა მოკავშირე სახელმწიფო-ები, ისე რომ მისი საიმპერიო სიეში შე-ტანა მოულოდნელია მომავალ კვირამდე.

ბარლინი. ვალდერზე პეკინიდან დეპე-შით იტყობინება, რომ კალგანამდის გაგ-ზავნილ სადარაჯო რაზმს არ უნახავს იქ და არც მის მიდამოებში ჩინელების რაზმი.

ლიხუზჩანგი იუწყება, რომ გენერალ ლი-უს ჯარი გაემგზავრა გუოლუდან ცინხინზე შანსისაკენ. ოთხშაბათს სიკვდილით დასჯი-ან კაპიტან ბარის მკვლელობა იმ ადგილას, სადაც მკვლელობა ჩაიდინა. გენერალ ბო-იოს რაზმები შეუფერხებლად მივიდნენ დიდ კედლის სხვა და სხვა ადგილებამდე, რომელიც შანსის საზღვრავს.

*) უნდა შევნიშნოთ, რომ ამავე შენობაში ხსენ-ბულ პირსაც ჰქონდა დახარჯული თავისი საკუთარი თანხა, ორას თუმანზე მეტი.

ლონდონი. საღამოს გაქრობის ც-ბებით, კარლილის სიმარტებში, კო-ახლოს, აჯანყდა იქ მოღობი მიონსტ-მსროლელთა მესამე-მატაღანა; თეო-ბის რჩევის მიხედვით, მათგან ერთი უნდა კარგებში დარჩენა. თუმცა ჯ-კაცთ იარაღი აჰყარეს, მაინც კორკაში სხვა ახლო ქალაქებში მათი საქციელი ი-იწვევს.

პაპუბადი. მგამობებმა ბუშმანდ-ლიდან უკან დაიწიეს გორაკებზე პელი-მახლობლად. ერთი ცნობებით, დევეტა-პირის ვოლგერგუთან რკინის გზა გა-სკრა, მეორე ცნობებით კი, ის ეხლა ს-კალის მიდამოებში იმყოფება და კრი-გერი ორანჯეს ახალშენისაკენ მიელაშ-ბა. როსმილიდან „რეიტერის“ სააგენტ-დეპეშით ატყობინებენ, რომ ყველგან-რების პატარ-პატარა რაზმები დათარ-გენ და ბევრგან შეტაკებაც მოხდა. დელბურგთან ბურები მთის წვერიდან ც-ხლის სიგნალებს იძლევიან, იქ მათ გე-გრაფიული მანქანა დასდგეს. ბურები ს-რად სკრიან რკინის გზის ლიანდაგს, რამ ჯავშნიანის მატარებლების შიშის-გზის გაფუჭების ნებას არ აძლევს.

პაპუბადი. ოფიციალურის ცნობე-საერთო რიცხვი დატყვევებულ ბურებ-რომლებიც ჯერ ისევ ორანჯეს ახალშენ-და ტრანსვალში იმყოფებიან, 18,934-მ-

შეტკრუგის ბარჯი 10 აპრილი.

გაქსეფის კურსი 3 თვით:	
ლონდონზე 10 გირგ. სტ.—ში	93,7
ბერლინზე 100 მარკაში	45,8
პარიზზე 100 ფრანკში	87,8
ლონდონზე ჩეკები	94,6
ბერლინზე	46,8
პარიზზე	37,6
ბირჟის დისკონტი	53/4—71
ფილდ. გაფ. გაფ.	9 3/4 5 3/4
49/10 სახელმწიფო რენტა.	—
41/20 შინაგანი სესხა 1893 წ.	100 —
49/10 გირავენ. ფურც. სახელ. სა-	—
აღვ. მამ. ბანკისა.	96 —
59/10 1-ლ შინაგ. სესხის მომგებ.	—
ბილ. 1864 წ.	36 —
59/10 მეორე შინაგ. სესხის მომ-	—
გებ. ბილ. 1866 წ.	28 —
59/10 გირავენ. მომგ. ფურც. სა-	—
ხელმ. სააღვ. მამ. ბანკისა.	22 —
31/20 გირავენ. ფურც. იმავე ბან-	—
კისა.	8 —
ტფილ. სააღვ. მამ. ბანკი 59/10	—
გირავენ. ფურცლ.	92 1/2 —
41/20 გირავენობა: ფურც. იმავე	—
ბანკისა.	86 1/2 —
ქუთ. სააღვ. მამ. ბანკისა. 60/10	—
გირ. ფურცლ.	—
59/10 გირავენ. ფურც. იმავე ბანკისა.	93 —
59/10 ობლიგაციები ტფ. საკრე-	—
დიტო საზოგ.	93 —
41/20 ობლიგაც. იმავე საზოგ-	—
დებისა.	84 1/2 —
რედუქტორი	გამომცემელი
ა. ჯ. ჯგერაძე.	ა. ჯ. ჯგერაძე

გამოსალაში სწოვანი

მიოლსკა რკინის გზის მატარებლები
(ფრჩხილებს გარედ ნაჩვენებია პეტერბურგის სა-ფრჩხილებში კი—ტფილისის).

სწრაფი მატარებელი № 2 ტფილისიდან ქაში გადის გვირაში ერთხელ—ოთხშაბათ-დიდის 7 ს. 56 წ. (8 ს. 54 წ.), აქ ჩადის საღამოს 9 ს. (9 ს. 58 წ.).

სწრაფი მატარებელი № 1 პაქოდან ტფი-სში გადის დიდის 6 ს. 50 წ. (7 ს. 48 წ.) ტფილისში ჩამოდის საღამოს 8 ს. 12 წ. 10 წ.

საფოსტო მატარებელი № 3 პაქოდან ტ-ლისში გადის დამის 11 ს. 15 წ. (12 ს. 15 წ.). ტფილისში ჩამოდის საშუადღევს 5 ს. 35 წ. (6 ს. 33 წ.).

იგივე მატარებელი ტფილისიდან ბათუმი-დის საღამოს 6 ს. 30 წ. (7 ს. 28 წ.) ბათუმი ჩადის დიდის 7 ს. 10 წ. (8 ს. 8 წ.).

მგზავთა მატარებელი № 5 პაქოდან ტ-ლისში გადის საშუადღევს 3 ს. 5 წ. (4 ს. 3 წ.), ტფილისში ჩამოდის დიდის 8 ს. 23 წ. (9 ს. 21 წ.).